(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

DriveWealth-ის მომხმარებლის ანგარიშის ხელშეკრულება

ძალაში შესვლის თარიღი: 2020 წლის 30 ივნისი.

1. **შესავალი.** წინამდებარე ხელშეკრულება განსაზღვრავს პირობებს, რომლებითაც DriveWealth LLC (შემდგომში, DriveWealth) მოემსახურება თქვენს ანგარიშს და მიიღებს შეკვეთებს ფასიანი ქაღალდების და სხვა აქტივების შესყიდვასა და გაყიდვაზე. DriveWealth-ში ანგარიშის გახსნით თქვენ აღიარებთ, რომ მიიღეთ, წაიკითხეთ და გააცნობიერეთ წინამდებარე ხელშეკრულება და თანახმა ხართ, შეასრულოთ მისი პირობები. ეს ხელშეკრულება არ შევა ძალაში სანამ DriveWealth-ი არ დაამტკიცებს მას, ხოლო ასეთი დამტკიცების დასტურად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ შიდა აღრიცხვა, რომელსაც DriveWealth-ი აწარმოებს. წინამდებარე ხელშეკრულება აუქმებს ნებისმიერ წინა შეთანხმებას, რომლებიც შესაძლოა თქვენს ანგარიშთან დაკავშირებით გქონდეთ ინდივიდუალურად დადებული DriveWealth-თან, ანდა თუ წინამდებარე ხელშეკრულება ერთობლივია ან სხვა კომბინაციაშია, ის აუქმებს ნებისმიერ წინა შეთანხმებას, რომლებიც შესაძლოა იმავე მხარეებს თავიანთ ანგარიშებთან დაკავშირებით ერთობლივად აქვთ DriveWealth-თან დადებული იმ საგანზე, რომელისაც წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს. DriveWealth-ს აქვს უფლება, პერიოდულად შეიტანოს შესწორებები წინამდებარე ხელშეკრულება, რასაც გააკეთებს საჯარო ინფორმაციის ბიბლიოთეკაში შესწორებული ვერსიის გამოქვეყნების და ძალაში შესვლის თარიღის განახლების გზით. განახლებული ვერსია ძალაში შევა „ძალაში შესვლის“ განახლებულ თარიღზე. ჩვენს „მომხმარებლის ანგარიშის ხელშეკრულებაში“ მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, DriveWealth-ი დროულად გამოგიგზავნით შეტყობინებას ასეთი ცვლილების შესახებ. თქვენ თანხმობას გამოხატავთ თქვენთვის და თქვენი ანგარიშისთვის „მომხმარებლის ანგარიშის ხელშეკრულებაში“ ცვლილებები სავალდებულობაზე, თუ გააგრძელებთ ანგარიშის შემდგომ გამოყენებას, ანდა არ დახურავთ თქვენს ანგარიშს ასეთი ცვლილებების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ თქვენ მიერ ჩვენი სერვისების გამოყენების გაგრძელება ჩაითვლება თქვენს თანხმობად ჩვენს „მომხმარებლის ანგარიშის ხელშეკრულებაზე“.

2. **განსაზღვრები და ურთიერთობები.** ტერმინებს, რომლებიც გამოყენებულია „მომხმარებლის ანგარიშის ხელშეკრულებაში“, ექნება შემდეგი მნიშვნელობები:

ანგარიში - თითოეული საბროკერო ანგარიში, რომელსაც ხსნით DriveWealth-ში და რომლის მიმართაც გაქვთ ინტერესი.

დაკავშირებული პირი - ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც დროდადრო, პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს, კონტროლდება მხარე ან მეორე მხარესთან ერთად საერთო კონტროლის ქვეშაა.

მოქმედი კანონმდებლობა - ფედერალური ან შტატების კანონები, წესები და რეგულაციები, თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესები, მათ შორის, და არა მხოლოდ, „ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭო" (შემდგომში, ფედერალური რეზერვის საბჭო), აშშ-ის „ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების კომისია" (შემდგომში, SEC), „საფინანსო ინდუსტრიის მარეგულირებელი სააგენტო" (შემდგომში, FINRA), ასევე იმ საფონდო ბირჟების, ბაზრებისა და საკლირინგო ორგანიზაციების კონსტიტუცია, წესები, რეგულაციები, ჩვეულებები და პრაქტიკა, სადაც სრულდება ტრანზაქციები, კლირინგი და ანგარიშსწორება თქვენი ანგარიშისთვის.

DriveWealth-ის პლატფორმა - ისეთი ტექნოლოგია, რომელსაც ფლობს, ამუშავებს ანდა ხელმისაწვდომს ხდის DriveWealth-ი ან DriveWealth-ის დაკავშირებული პირი, რათა შესაძლებელი გახადოს საბროკერო სერვისების განხორციელება თქვენს ანგარიშზე.

ძალაში შესვლის თარიღი - წინამდებარე „მომხმარებლის ანგარიშის ხელშეკრულების" თარიღი, რომელიც მითითებული ზემოთ.

წარმდგენი ბროკერი - ორგანიზაცია, რომელიც გემსახურებათ როგორც თქვენი ბროკერი. თქვენი წარმდგენი ბროკერი პასუხისმგებელია, ფასიანი ქაღალდების შესყიდვასა და გაყიდვაზე თქვენი მითითების მიღებასა და ამ მითითების DriveWealth-ისთვის გადაცემაზე.

საინვესტიციო მრჩეველი ან **მრჩეველი** - ინდივიდი ან ორგანიზაცია, რომელიც გემსახურებათ, როგორც თქვენი რეგისტრირებული საინვესტიციო მრჩეველი ან ინდივიდუალური ანგარიშის მენეჯერი. თქვენი საინვესტიციო მრჩეველი პასუხისმგებელია თქვენი ანგარიშის (ანგარიშების) მართვაზე და თქვენს ანგარიშზე (ანგარიშებზე) დარიცხული მრჩევლის საფასურის შესაბამისობის დადგენაზე.

მხარე ან **მხარეები** - თქვენ და DriveWealth LLC და ამ უკანასკნელის დაკავშირებული პირები.

ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები - მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ნებისმიერ ფულს, ფასიან ქაღალდებს და სხვა ქონებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს თქვენს ანგარიშზე.

ტრანზაქცია - საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც თქვენს ანგარიშს ეხება, მათ შორის გადაწყვეტილებები ფასიანი ქაღალდების შესყიდვასა და გაყიდვაზე. DriveWealth-ი ტრანზაქციებს თქვენს ანგარიშზე ახორციელებს თქვენი და/ან თქვენი წარმდგენი ბროკერის ან საინვესტიციო მრჩევლის მითითებებით.

თქვენ ან **თქვენი** - ანგარიშის მფლობელი (მფლობელები). ანგარიშის მფლობელი (მფლობელები) შეიძლება იყოს ერთი ან მეტი ინდივიდი.

3. **მოქმედი კანონი.** თქვენს ანგარიშზე განხორციელებული ყველა ტრანზაქციაზე ვრცელდება მოქმედი კანონი.

4. **თქვენი განცხადებები.** თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ თქვენ (ა) ხართ სრულწლოვანი იმ იურისდიქციაში, რომელშიც ცხოვრობთ და ხართ უფლებამოსილი, დადოთ წინამდებარე ხელშეკრულება; (ბ) თქვენ წარმოადგინეთ სწორი ინფორმაცია თქვენი ანგარიშის განაცხადში; და (გ) თქვენ არა ხართ (i) რომელიმე ფასიანი ქაღალდების ეროვნული საფონდო ბირჟის ან FINCRA-ს, ან ფასიანი ქაღალდების ეროვნული საფონდო ბირჟის ან FINCRA-ს წევრი სხვა ფირმის, ანდა ბანკის, სატრასტო კომპანიის ან სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელი და მისი დაკავშირებული პირი, ანდა (ii) საჯარო ვაჭრობაზე დაშვებული კომპანიის დირექტორი, 10% აქციების ბენეფიციარი მესაკუთრე, პოლიტიკის შემმუშავებელი ოფიცერი ან სხვაგვარად დაკავშირებული პირი (ამ ტერმინის იმ მნიშვნელობის თანახმად, რომელიც განსაზღვრულია 1993 წლის „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონის 144-ე წესში), თუ თქვენ ამის შესახებ არ გიცნობებიათ DriveWealth-ისთვის, და რომ თქვენ დაუყოვნებლივ აცნობებთ DriveWealth-ს, თუ გახდებით ამგვარი თანამშრომელი ან დაკავშირებული პირი. DriveWealth-ი იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს ნებისმიერი მიზეზით დახუროს თქვენი ანგარიში.

5. **DriveWealth-ის მიერ მოწოდებული სერვისები.** თქვენმა წარმდგენმა ბროკერმა ან საინვესტიციო მრჩეველმა DriveWealth-თან გააფორმა საკლირინგო ხელშეკრულება, რომელშიც DriveWealth-ი არის თქვენს ანგარიშზე ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციების კლირინგის აგენტი და ინახავს თქვენს ანგარიშს. თქვენ ეთანხმებით, რომ DriveWealth-ს და მის დაკავშირებულ პირებს აქვთ უფლება, მოგაწოდონ თქვენ კლირინგის, შესრულების და საბროკერო სერვისები. გარკვეულ შემთხვევებში DriveWealth-ს შეუძლია, დაეყრდნოს მესამე მხარის ვენდორს (ვენდორებს) გარკვეული ქვეკონტრაქტირებული ფუნქციების შესასრულებლად; DriveWealth-ი დარჩება პასუხისმგებელი ყველა ქვეკონტრაქტირებული ფუნქციის ზედამხედველობაზე და მათი1 აშშ-ის ფასიანი ქაღალდების მოქმედი კანონების და რეგულაციების შესაბამისად უზრუნველყოფაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული DriveWealth-ის ყველა უფლება, პასუხისმგებლობის შეზღუდვა და ვალდებულება არის DriveWealth-ის ინტერესებში და მისი ყოველი არსებული და მომავალი დაკავშირებული პირის ინტერესებში, რომლებიც აღნიშნული მიზნებისთვის მიჩნეული არიან ამ ხელშეკრულების ბენეფიციარ მესამე მხარეებად. თქვენ აცნობიერებთ და აღიარებთ, რომ DriveWealth-ი არ უზრუნველყოფს რაიმე სახის საგადასახადო, იურიდიულ ან საინვესტიციო რჩევას; DriveWealth-ი არ იძლევა რჩევას ან დასკვნას არც თქვენს ანგარიშზე რაიმე ფასიანი ქაღალდის ტრანზაქციის ან საინვესტიციო სტრატეგიის ბუნებასთან, პოტენციურ ღირებულებასა ან შესაფერისობასთან დაკავშირებით. თქვენ არ დააკისრებთ, ან არ შეეცდებით, დააკისროთ პასუხისმგებლობა DriveWealth-ს ან რომელიმე მის ოფიცერს,

დირექტორს, თანამშრომელს, აგენტს, ფილიალს ან დაკავშირებულ პირს რაიმე სავაჭრო ან სხვა საინვესტიციო დანაკარგზე, რომლებიც განიცადა თქვენმა ანგარიშმა.

6. **DriveWealth-ის მიერ შეგროვილი ინფორმაცია.** თქვენ სთხოვთ DriveWealth-ს, ინფორმაციის სრული ღიაობის საფუძველზე შექმნას ანგარიში (ანგარიშები) იმ პირების სახელებზე, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ ხელშეკრულების ანგარიშის მფლობელებად. ასეთი თხოვნით მიმართვისას, თქვენ უფლებას ანიჭებთ DriveWealth-ს მოიპოვოს, გადაამოწმოს და ჩაიწეროს ინფორმაცია ანგარიშის ყველა მფლობელზე. DriveWealth-ზე ანგარიშის შექმნისთვის ჩვენ მოგთხოვთ თქვენს სახელსა და გვარს, მისამართს, დაბადების თარიღს და სხვა ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა თქვენი მანქანის მართვის მოწმობა ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტები, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში მოგვცემს თქვენი იდენტიფიცირების შესაძლებლობას. თქვენ უფლებას ანიჭებთ DriveWealth-ს, გაუზიაროს ასეთი მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც DriveWealth-ს შეიძლება ჰქონდეს თქვენსა და თქვენი ანგარიშის შესახებ, მასთან დაკავშირებულ პირებს და ვენდორ მესამე მხარეებს მხოლოდ თქვენი ანგარიშის მომსახურების საჭიროების შემთხვევაში.

7. **მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა.** წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანხმობის და DriveWealth-თან ანგარიშის შექმნის შემთხვევაში, თქვენ აღიარებთ, რომ ეთანხმებით და აცნობიერებთ DriveWealth-ის პოლიტიკას პირადი მონაცემების დაცვის შესახებ.

8. **ფასიანი ქაღალდების და სხვა აქტივების გადაცემა ანგარიშზე.** თქვენ ეთანხმებით, რომ თქვენს ანგარიშზე შეტანილი ყველა ფასიანი ქაღალდი და სხვა აქტივი იქნება მისაწოდებლად სათანადო ფორმაში. „მისაწოდებლად სათანადო ფორმა“ ნიშნავს, რომ ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები თავისუფლად შეიძლება გასხვისდეს, არის სათანადოდ დადასტურებული, რეგისტრირებული და თავისუფლად ბრუნვადი. თქვენ თანახმა ხართ, DriveWealth-ს დროულად მიაწოდოთ სწორი ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების გაყიდვასა თუ გადაცემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეზღუდვაზე, მათ შორის ნებისმიერი იმ ფასიანი ქაღალდის ან სხვა აქტივის გაყიდვასა თუ გადაცემაზე არსებულ შეზღუდვებზე, რომელთა გადაყიდვა შეზღუდულია „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ 1933 წლის კანონის 144 ან 145(დ) წესის თანახმად. თქვენ ასევე თანახმა ხართ, დროულად დააკმაყოფილოთ გადაცემის ყველა მოთხოვნა და წარმოადგინოთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია ფასიანი ქაღალდების და სხვა აქტივების გადაცემამდე და გადაცემის შემდეგ.

9. **თქვენი პასუხისმგებლობა თქვენს ანგარიშზე.** თქვენ კისრულობთ ფინანსურ პასუხისმგებლობას თქვენს ანგარიშზე განხორციელებულ ყველა ტრანზაქციასა და საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე. თქვენ არ დაუშვებთ არაუფლებამოსილი პირის მიერ თქვენს ანგარიშზე ტრანზაქციის განხორციელებას. თუ თქვენ დაუშვებთ არაუფლებამოსილი პირის მიერ თქვენს ანგარიშზე ტრანზაქციის განხორციელებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფაქტობრივად გამოყენებული თანხა აღემატება თქვენს მიერ სანქცირებულ თანხას, პასუხისმგებელი ყველა შესრულებული ტრანზაქციის სრულ თანხაზე იქნებით თქვენ. თქვენ

აცნობიერებთ, რომ DriveWealth-ი არ იძლევა რაიმე სახის საგადასახადო, სააღრიცხვო ან იურიდიულ რჩევას და ამ საკითხებზე პასუხისმგებელი თქვენ და თქვენი მრჩევლები ხართ. კონსულტაცია თქვენი საინვესტიციო გადაწყვეტილებების საგადასახადო შედეგებზე უნდა გაიაროთ თქვენს საგადასახადო მრჩეველთან. თქვენ პასუხისმგებელი ხართ თქვენი ანგარიშის პაროლზე და გონივრული ნაბიჯების გადადგმაზე, რომ მონიტორინგი გაუწიოთ და დაიცვათ თქვენი ანგარიში არასანქცირებული წვდომისგან. თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენი ანგარიშის უსაფრთხოება დაირღვა კიბერთავდასხმის შედეგად ან სხვაგვარად, თქვენ თანახმა ხართ, დაუყოვნებლივ შეატყობინოთ ამის შესახებ DriveWealth-ს და თქვენს წარმდგენ ბროკერს ან საინვესტიციო მრჩეველს, რათა მიღებული იქნეს სათანადო ზომები. თუ DriveWealth-ი ჩათვლის, რომ თქვენი ანგარიშის უსაფრთხოება დაირღვა კიბერთავდასხმის გამო, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, მივიღოთ სასწრაფო ზომები თქვენი ანგარიშის და DriveWealth-ის პლატფორმის დასაცავად. თქვენ თანახმა ხართ, რომ ასეთ სიტუაციებში უშუალოდ თქვენ დაგიკავშირდეთ და/ან დავუკავშირდეთ თქვენს წარმდგენ ბროკერს ან საინვესტიციო მრჩეველს, რათა გაცნობოთ თქვენ და/ან ვაცნობოთ თქვენს წარმდგენ ბროკერს ან საინვესტიციო მრჩეველს ასეთი ინციდენტის ხასიათის და თქვენი ანგარიშის დასაცავად მიღებული ზომების შესახებ.

10. **გადახდა და ანგარიშსწორება.** თქვენ თანახმა ხართ, რომ ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის და სხვა აქტივის საფასური, რომელიც თქვენი ანგარიშისთვისაა შესყიდული, გადაიხადოთ ანგარიშსწორების იმ თარიღამდე ან თარიღის შემდეგ, რომელიც მითითებულია ამ კონკრეტული ტრანზაქციის შეტყობინებაზე ანდა, თუ უფრო ადრეა, იმ ბაზრის სტანდარტული ანგარიშსწორების თარიღზე, რომელზეც ხდება ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. DriveWealth-ს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაგრთოთ ნება ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების შესყიდვაზე თქვენს ანგარიშზე თავისუფალი საკრედიტო ბალანსის არარსებობის შემთხვევაში. თქვენ ასევე თანახმა ხართ, რომ თქვენს ანგარიშზე გაყიდული ყოველი ერთეული DriveWealth-ისთვის მოწოდებული იქნება მისაწოდებლად სათანადო ფორმით ანგარიშსწორების თარიღამდე ან თარიღის შემდეგ. ნებისმიერი გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი არ იქნება თქვენთვის გადახდილი იმ დრომდე, სანამ DriveWealth-ი არ მიიღებს იმ ფასიან ქაღალდებსა და სხვა აქტივებს მისაწოდებლად სათანადო ფორმით და არ დასრულდება ფასიანი ქაღალდებისა და სხვა აქტივების ანგარიშსწორება. იმისთვის, რომ თავი დავიცვათ და დავაკმაყოფილოთ თქვენი ვალდებულებები, ჩვენ გვაქვს უფლება, ჩვენი შეხედულებისამებრ და წინასწარი მოთხოვნის ან შეტყობინების გარეშე, მოვახდინოთ თქვენს ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდების სრულად ან ნაწილობრივ გაყიდვა ან სხვაგვარად ლიკვიდირება, რათა დაკმაყოფილდეს თქვენი ვალდებულებები ანდა დაიხუროს რომელიმე ან ყველა ტრანზაქცია თქვენს ანგარიშზე. თქვენ პასუხისმგებელი ხართ ყველა დებეტზე, ხარჯზე, საკომისიოსა და დანაკარგზე, რომლებიც გამომდინარეობს ნებისმიერი ქმედებიდან, რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ თქვენს ანგარიშზე ტრანზაქციის ლიკვიდირების ან დახურვის მიზნით, ანდა გამომდინარეობს ფასიანი ქაღალდების მისაწოდებლად სათანადო ფორმით თქვენ მიერ დროულად არ მოწოდებიდან. თქვენ თანახმა ხართ, რომ თუ თქვენი სახელით ხორციელდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რაიმე ტრანზაქცია ანდა თქვენს ანგარიშზე ხდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული

დივიდენდის გადახდა: (i) ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც გამომდინარეობს ასეთი უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებიდან დაერიცხება თქვენს ანგარიშს, (ii) მარჟის მიზნებისთვის ყველა პირველადი და შემდგომი შენატანი გაკეთდება აშშ დოლარში იმ ოდენობით, რის მოთხოვნის უფლებაც DriveWealth-ს საკუთარი შეხედულებისამებრ აქვს, და (iii) DriveWealth-ი უფლებამოსილია, მოახდინოს თქვენს ანგარიშზე თანხების კონვერტირება ასეთ უცხოურ ვალუტაში ან ასეთი უცხოური ვალუტიდან ისეთი გაცვლის კურსით, რომელსაც DriveWealth-ი საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენს იმ დროს არსებული ფულის ბაზრების საფუძველზე, და თქვენ აუნაზღაურებთ DriveWealth-ს ნებისმიერ ხარჯს, რომელიც მან განიცადა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით. თქვენ ასევე აცნობიერებთ, რომ ყველაფერი ზემოთქმული შეიძლება განხორციელდეს რაიმე წინასწარი შეტყობინების გარეშე; ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ან მოთხოვნა ცალსახად არის წინამდებარით უარყოფილი და ამ უარყოფას ვერ გააბათილებს ვერანაირი კონკრეტული მოთხოვნა ან შეტყობინება.

11. **თქვენი ანგარიშის მონიტორინგი.** თქვენ აღიარებთ და ეთანხმებით, რომ DriveWealth-ს აქვს უფლება, მონიტორინგი გაუწიოს და ჩაიწეროს სატელეფონო ან ნებისმიერი სხვა კომუნიკაცია DriveWealth-სა და თქვენს შორის, რომელიც ხორციელდება ნებისმიერი ქსელით, მათ შორის ტელეფონით, საკაბელო და უკაბელო ქსელებით და ინტერნეტით, და DriveWealth-ს აქვს უფლება, გამოიყენოს ასე მიღებული ინფორმაცია შიდა მიზნებისთვის ან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ნებისმიერი ასეთი მონიტორინგი და ჩაწერა განხორციელდება DriveWealth-ის კონფიდენციალობის დაცვის პოლიტიკის შესაბამისად.

12. **SIPC.** DriveWealth-ი არის „ფასიანი ქაღალდების ინვესტორის დაცვის კორპორაციის“ (შემდგომში, SIPC) წევრი. SIPC-ი ამჟამად იცავს თქვენს ანგარიშზე 500,000 აშშ დოლარამდე ღირებულების ფასიან ქაღალდებსა და ნაღდ ფულს, საიდანაც 250,000 აშშ დოლარი შეიძლება იყოს ნაღდი ფული. SIPC-ი არ იცავს ინვესტირებასთან დაკავშირებული საბაზრო რისკებისგან. თქვენ აღიარებთ, რომ SIPC-ის მიზნებისთვის, ფულის ბაზრის ბალანსები ითვლება ფასიან ქაღალდებად. თქვენს ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები (გარდა საბროკერო დეპოზიტის სერტიფიკატებისა) არ არის დაზღვეული „დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის“ მიერ (შემდგომში, FDIC) და მათზე არ ვრცელდება საინვესტიციო რისკები, მათ შორის ინვესტირებული ძირი თანხის შესაძლო დაკარგვის რისკი. SIPC-ის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის SIPC-ის ბროშურის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდს www.SIPC.org ან დაუკავშირდით SIPC-ს შემდეგ ტელეფონის ნომერზე: (202)371-8300.

13. **წესი 144 ან 145(დ) „შეზღუდული ბრუნვის ან საკონტროლო ფასიანი ქაღალდები“.** შეზღუდული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ან გადაცემის შეკვეთის განთავსებამდე, თქვენ თანახმა ხართ, აცნობოთ DriveWealth-ს ფასიანი ქაღალდების სტატუსი და მიაწოდოთ მას ყველა აუცილებელი დოკუმენტი (მათ შორის, იურიდიული კონსულტანტის დასკვნები, თუ ამას DriveWealth-ი მოითხოვს) ან ნებისმიერი სხვა უარყოფა ან თანხმობა, რომლებიც აუცილებელია გადაცემის იურიდიულ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ან გადაცემა არ შეიძლება მანამ, სანამ ისინი არ დააკმაყოფილებს

გადაცემის იურიდიულ მოთხოვნებს. მაშინაც კი, როდესაც მოთხოვნილი დოკუმენტები დროულად არის წარმოდგენილი, შესაძლოა იყოს შეფერხებები ამ ფასიანი ქაღალდების დამუშავებაში, რის შედეგადაც შესაძლოა დაიგვიანოს ფასიანი ქაღალდების მიწოდებამ და ნაღდი ფულის დაკრედიტებამ თქვენს ანგარიშზე. თქვენ პასუხისმგებელი ხართ, და აუნაზღაურებთ DriveWealth-ს, ნებისმიერ დაგვიანებას, ხარჯებს, დანაკარგებსა და ზარალს (მათ შორის, ადვოკატების ჰონორარს და სასამართლო ხარჯებს გონივრულობის ფარგლებში) (შემდგომში, დანაკარგები), რომლებიც განიცადა DriveWealth-მა და უკავშირდება ყველა იმ მოთხოვნასა და წესთან შესაბამისობას თუ შეუსაბამობას, რომლებიც ეხება შეზღუდული ბრუნვის ფასიან ქაღალდებს.

14. **უმოქმედო ანგარიშები და მიტოვებული ქონება.**

1. უმოქმედო ანგარიშის გადასახადი: თუ თქვენს ანგარიშზე არ განხორციელებულა რაიმე სავაჭრო აქტივობა უწყვეტად 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში, ჩვენ შეგვიძლია თქვენი ანგარიში „უმოქმედოდ“ მივიჩნიოთ და გამოვითვალოთ უმოქმედო ანგარიშის თვიური საფასური თქვენი ანგარიშის შენახვისთვის.
2. მიტოვებული ქონება: იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თქვენი ანგარიში „უმოქმედოა“, ჩვენ გავაგრძელებთ მცდელობას, დავადგინოთ თქვენი ადგილსამყოფელი იმ საკონტაქტო ინფორმაციით, რომელიც ჩვენ მოგვაწოდეთ. თუ თქვენი ანგარიში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დარჩება უმოქმედო და თქვენ ამ ხნის განმავლობაში არ დაგვიკავშირდებით, თქვენი ანგარიში მიჩნეული იქნება „მიტოვებულ“ ან „მოუკითხავ“ ქონებად შტატის კანონის შესაბამისად. ასეთად მიჩნევის შემთხვევაში, ჩვენ შევატყობინებთ შტატს თქვენი ანგარიშის შესახებ და ის დაექვემდებარება სახელმწიფოსთვის ქონების დაბრუნების პროცესს, რა დროსაც ქონების მფლობელი გახდება შტატი.

15. **კომუნიკაცია ინტერნეტით.** DriveWealth-ი მიიღებს ზომებს, რომლებსაც მიიჩნევს შესაფერისად, რომ დაიცვას თქვენ მიერ ინტერნეტით მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. თუმცა, თქვენ აღიარებთ, რომ ინტერნეტი არ არის დაცული ქსელი და ინტერნეტის გზით კომუნიკაციასთან შესაძლოა წვდომა ჰქონდეს არაუფლებამოსილ ან არასათანადო მესამე მხარეებს. თქვენ აცნობიერებთ, რომ ინტერნეტით არ უნდა გადასცეთ რაიმე პირადი ან მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (როგორებიცაა ანგარიშის ნომერი, საკრედიტო და სადებეტო ბარათების ნომრები, სოციალური დაცვის ნომრები, პასპორტის ანდა ვიზის ნომრები და პაროლები), თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ გადაცემა უსაფრთხო და კოდიფიცირებულია. თქვენ ასევე აცნობიერებთ, რომ DriveWealth-ი ვერ დაგეხმარებათ იმ პრობლემების დაძლევაში, რომლებიც შესაძლოა გამომდინარეობს იმ სიძნელეებიდან, რასაც ინტერნეტით რეგისტრაციის გავლისას ან ელექტრონული კომუნიკაციის წვდომისაა წააწყდით.

16. **თანხმობა კომუნიკაციის და მარეგულირებელი ინფორმაციის ელექტრონულად მიწოდებაზე.** DriveWealth-თან ანგარიშის შექმნის ერთ-ერთი წინაპირობაა თქვენი თანხმობა,

მოგაწოდონ ვაჭრობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ანგარიშის ამონაწერები, პროსპექტები, ემიტენტის ინფორმაცია, ნახევარწლიური ანგარიშები, განცხადებები ხმის მიცემის მინდობილობის მინიჭების შესახებ, კენჭისყრის ბიულეტენები, ინფორმაცია ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი კორპორატიული ქმედებების შესახებ, აქციონერთა სხვა მასალები და სხვა დოკუმენტები (შემდგომში, ერთობლივად, მასალები) ელექტრონული საშუალებების გზით, როგორებიცაა ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდები ანდა თქვენი ონლაინ ანგარიშის აპლიკაცია. თქვენ ეთანხმებით, რომ DriveWealth-მა ელექტრონულად მოგაწოდოთ და აღიარებთ, რომ გაქვთ ასეთი კომუნიკაციის წვდომის საშუალებები. თქვენი თანხმობა მასალების ელექტრონულად მოწოდებაზე ეხება ყველა ინფორმაციას, რომლის მოწოდებასაც თქვენ ითხოვთ ჩვენგან, იმ ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისგან, რომლებშიც ახორციელებთ ინვესტიციას და მესამე მხარეებისგან, რომლებიც DriveWealth-მა შეიძლება გამოიყენოს მისი ვალდებულებების შესრულებაში დასახმარებლად (შემდგომში, სერვისის მომწოდებელი მესამე მხარე). თქვენ თანახმა ხართ, რომ როდესაც ჩვენ გიგზავნით ასეთ ელექტრონულ შეტყობინებებს ანდა ისინი გამოქვეყნებულია ვებგვერდზე ან მოწოდებულია აპლიკაციით, მათ შორის ნებისმიერი წარმდგენი ბროკერის ან საინვესტიციო მრჩევლის ვებგვერდით ან აპლიკაციით, ისინი ითვლება ასეთი მასალების თქვენთვის მოწოდებად იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ რეალურად არ გინახავთ ეს ინფორმაცია ან დოკუმენტები. თქვენ აცნობიერებთ, რომ გარკვეული სახის მასალა (როგორებიცაა პროსპექტები და სხვა მასალა, რომელიც არ მოიცავს პერსონალურ ფინანსურ ინფორმაციას) ჩაითვლება თქვენ მიერ მიღებულად, როდესაც ისინი გამოქვეყნდება საჯაროდ ხელმისაწვდომ რომელიმე ვებგვერდზე. ეს თანხმობა დაუყოვნებლივ შევა ძალაში და იმოქმედებს მანამ, სანამ ჩვენ ან თქვენ არ გავაუქმებთ მას. თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გააუქმოთ თანხმობა მასალების ელექტრონულ მოწოდებაზე ჩვენთვის წერილობითი შეტყობინების გამოგზავნით შემდეგ ელფოსტის მისამართზე: support@drivewealth.com. თუმცა, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევწყვიტოთ თქვენი ანგარიში ან, რიგ შემთხვევებში, დაგაკისროთ მომსახურების გადასახადი, თუ თქვენ მოსთხოვთ DriveWealth-ს ან მომსახურების მომწოდებელ შესაბამის მესამე მხარეებს მასალების ამობეჭდილი ასლების მიწოდებას. ჩვენ ასევე გვაქვს უფლება, შევზღუდოთ, გავაუქმოთ ან შევწყვიტოთ თქვენი წვდომა სერვისებზე, წავშალოთ პროდუქტის მახასიათებლები, ანდა შევწყვიტოთ თქვენთან დადებული ნებისმიერი შეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად. თქვენი ანგარიშის შეწყვეტას ან სხვა შეზღუდვას შეიძლება მოჰყვეს თქვენი შესაძლებლობის შეწყვეტა ან მნიშვნელოვანი შეზღუდვა, გამოიყენოთ წარმდგენი ბროკერის ან საინვესტიციო მრჩევლის მიერ თქვენთვის მოწოდებული სერვისები. ელექტრონული მიწოდების აქ აღწერილ მეთოდებზე თქვენი თანხმობის გაუქმება ძალაში შევა ჩვენ მიერ განსაზღვრულ თარიღზე, რომელიც წერილობით გეცნობებათ ელექტრონული ფოსტის იმ მისამართზე, რომელიც მითითებული გაქვთ. თქვენ ასევე ეთანხმებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე თქვენი თანხმობის უარყოფის ან შეჩერების შემთხვევაში, თქვენი მოთხოვნა, მოგაწოდოთ ამობეჭდილი ასლი ანდა ჩვენ მიერ ამობეჭდილი ასლის თქვენთვის მოწოდება არ გულისხმობს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დოკუმენტების მანამდე შესრულებული ელექტრონული მოწოდება ან ხელმოწერა არ წარმოადგენს კარგ და ეფექტიან მოწოდებას ანდა სხვაგვარად

აუქმებს თქვენს თანხმობას რაიმე ხელშეკრულებაზე ან ასეთი ხელშეკრულების რომელიმე პირობას.

17. **მასალების შესწავლა.** თქვენ თანახმა ხართ, დროულად შეისწავლოთ თქვენთვის გამოგზავნილი ყველა მასალა და თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენთვის გამოგზავნილ მასალაში რაიმე შეცდომაა თქვენს ანგარიშთან დაკავშირებით, სწრაფად აცნობოთ ამის შესახებ DriveWealth-ს შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: support@drivewealth.com. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ თქვენი ანგარიშის ვაჭრობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ანგარიშის ამონაწერები სავალდებულოა, თუ თქვენ არ უარყოფთ მას 3 (სამი) კალენდარულ დღეში ვაჭრობის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში და 10 (ათი) კალენდარულ დღეში ანგარიშის ამონაწერის შემთხვევაში, მათი ელექტრონული გზით ან სხვაგვარად თქვენთვის მოწოდების შემდეგ.

18. **კომუნიკაცია DriveWealth-თან.** თქვენ თანახმა ხართ, რომ DriveWealth-მა განსაზღვროს ფორმა, რომლითაც თქვენ გაუგზავნით DriveWealth-ს სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციას (მათ შორის, თქვენს საკონტაქტო მონაცემებში ცვლილებებს) და ასევე განსაზღვროს ამ მიზნით გამოსაყენებელი მისამართები. DriveWealth-ი არ მოეთხოვება, იმოქმედოს იმ კომუნიკაციის საფუძველზე, რომელიც არ შეესაბამება გაგზავნის განსაზღვრულ ფორმას, და DriveWealth-ს მიეცემა გონივრული დრო, კონკრეტული ვითარების შესაბამისად, იმოქმედოს ასეთი კომუნიკაციის საფუძველზე, თუ ის ამის გაკეთებას გადაწყვეტს. DriveWealth-ი არ დაეკისრება რაიმე ვალდებულება იმისთვის, რომ ის დაეყრდნო მითითებებს ან დოკუმენტს, რომლებიც მიღებულია ან ხელმოწერილია ნებისმიერი ისეთი პირის მიერ, რომელსაც DriveWealth-ი, გონივრულობის ფარგლებში, მიიჩნევს, რომ ხართ თქვენ ან ის პირი, ვინც თქვენს მიერ არის უფლებამოსილი, გასცეს მითითებები ან ხელი მოაწეროს დოკუმენტს მიუხედავად იმისა, ამ პირს აქვს თუ არა ამის გაკეთების უფლებამოსილება.

19. **ზეპირი ავტორიზაცია.** თქვენ თანახმა ხართ, რომ DriveWealth-ს არ დაეკისრება რაიმე პასუხიმგებლობა იმისთვის, რომ ის იმოქმედებს ზეპირი მითითებების შესაბამისად, რომლებიც მას თქვენ ანგარიშთან დაკავშირებით ეძლევა, თუ ასეთი მითითებები ითვლება, გონივრულობის ფარგლებში, ნამდვილ მითითებებად. თუმცა, DriveWealth-ი იტოვებს უფლებას, მოითხოვოს თქვენგან, რომ მოთხოვნა ნებისმიერ ტრანზაქციაზე ან თქვენი ანგარიშიდან გამოტანაზე იყოს წერილობითი ფორმით.

20. **მინდობილობა ან ვაჭრობის უფლებამოსილება მესამე მხარისთვის.** თუ თქვენ თქვენს ანგარიშთან დაკავშირებით მესამე მხარეს აძლევთ მინდობილობას ან ვაჭრობის უფლებამოსილებას, თქვენ ეთანხმებით, რომ DriveWealth-ი შეასრულებს ასეთი მესამე მხარის მითითებებს ამ უფლებამოსილების შესაბამისად.

21. **მინდობილი საკონტაქტო პირის ავტორიზაცია.** როგორც ფირმის ახალი ანგარიშის გახსნის და ანგარიშების პერიოდული განხილვის პროცესების ნაწილი, DriveWealth-ი მოითხოვს ერთი ან მეტი მინდობილი საკონტაქტო პირის (შემდგომში, მინდობილი საკონტაქტო პირი) სახელსა

და გვარს და საკონტაქტო ინფორმაციას ყველა არაინსტიტუციური ანგარიშისთვის. მინდობილი საკონტაქტო პირის ფორმის წარდგენით, თქვენ არაორაზროვნად ანიჭებთ DriveWealth-ს უფლებამოსილებას, საკუთარი შეხედულებისამებრ დაუკავშირდეს თითოეულ მინდობილ საკონტაქტო პირს და ასეთ მინდობილ საკონტაქტო პირს გაუმჟღავნოს გარკვეული ინფორმაცია თქვენსა და თქვენი ანგარიშის (ანგარიშების) შესახებ, რათა მოაგვაროს პოტენციურ ფინანსურ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, დაადასტუროს ინფორმაცია თქვენსა და თქვენი ანგარიშების შესახებ და დაადგინოს სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია FINRA-ს 2165-ე წესის შესაბამისად. DriveWealth-ს არ მოეთხოვება, წინასწარ დაგიკავშირდეთ თქვენ მინდობილ საკონტაქტო პირთან დაკავშირებამდე. თუ თქვენ გსურთ, მიაწოდოთ DriveWealth-ს ინფორმაცია მინდობილი საკონტაქტო პირის შესახებ, ასეთი პირი უნდა იყოს 18 წელზე მეტი ასაკის სათანადოდ ქმედუნარიანი ინდივიდი. მინდობილი საკონტაქტო პირი უნდა იყოს ინდივიდი, ვისაც სათანადო ცოდნა აქვს თქვენსა და თქვენი საქმიანობების შესახებ. მინდობილ საკონტაქტო პირს არა აქვს ვაჭრობის უფლებამოსილება ან რაიმე სხვა დისკრეცია თქვენს ანგარიშზე (ანგარიშებზე). მინდობილი საკონტაქტო პირი იმოქმედებს მხოლოდ როგორც ინფორმაციის წყარო, რომ საჭიროებისამებრ დაეხმაროს DriveWealth-ს თქვენი ანგარიშის (ანგარიშების) შესწავლაში. თქვენ გაქვთ უფლება, დაამატოთ, მოხსნათ ან შეცვალოთ მინდობილი საკონტაქტო პირი (პირები) DriveWealth-ის დახმარების სამსახურთან დაკავშირების გზით შემდეგო ელფოსტის მისამართზე support@drivewealth.com.

22. **პუბლიკაციები.** DriveWealth-მა შეიძლება ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების და საინვესტიციო პროდუქტების შესახებ, მათ შორის სხვების მიერ მომზადებული მასალები. არც ერთი ასეთი ინფორმაცია არ არის ინდივიდუალიზებული ან რაიმე ფორმით ისე შედგენილი, რომ ასახავდეს თქვენს პერსონალურ ფინანსურ მდგომარეობებს ან საინვესტიციო ამოცანებს, ხოლო ამ მასალებში განხილული ფასიანი ქაღალდები ან საინვესტიციო სტრატეგიები შესაძლოა არ იყოს თქვენთვის გამოსადეგი. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ DriveWealth-ი ხელმისაწვდომს ხდის თქვენთვის ამ ინფორმაცია, არ უნდა ჩათვალოთ თქვენთვის რეკომენდაციად რაიმე კონკრეტულ ფასიან ქაღალდსა ან საინვესტიციო სტრატეგიასთან დაკავშირებით. თქვენ ეთანხმებით, რომ DriveWealth-ს არა აქვს პასუხისმგებლობა, განსაზღვროს რომელიმე ტრანზაქციის თქვენთვის შესაფერისობა. გარდა ამისა, თქვენ არა გაქვთ უფლება, გაავრცელოთ ასეთი ინფორმაცია ან მონაცემები შესაბამისი მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე.

23. **უზრუნველყოფის უფლება და ყადაღა.** თქვენ თანახმა ხართ, რომ DriveWealth-ს ჰქონდეს უწყვეტი უზრუნველყოფის უფლება ყველა ფასიან ქაღალდსა და სხვა აქტივზე, რომლებიც თქვენ გაქვთ ან შესაძლოა მოგვიანებით შეიძინოთ, როგორც უზრუნველყოფა DriveWealth-ის წინაშე ყველა თქვენი არსებული ან მომავალი ვალდებულების გადახდისა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა DriveWealth-ს ასეთ ფასიან ქაღალდებსა და სხვა აქტივებთან მიმართებით გაცემული სესხი. ყველა ასეთ ფასიან ქაღალდსა და სხვა აქტივზე ვრცელდება ყადაღის დადების სრულყოფილი უპირატესი უფლება, უზრუნველყოფის უფლება და გამოქვითვის უფლება და მას DriveWealth-ი ან მისი აგენტები ფლობენ როგორც უზრუნველყოფას

ნებისმიერი დავალიანების ან სხვა ვალდებულების შესასრულებლად, რომლებიც შეიძლება თქვენ გქონდეთ DriveWealth-ის წინაშე, განურჩევლად იმისა, თუ როგორ წარმოიშვა ასეთი ვალდებულება. უზრუნველყოფის უფლების აღსასრულებლად DriveWealth-ს აქვს დისკრეცია, განსაზღვროს, რომელი ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები გაიყიდოს და რა რიგითობით გაიყიდოს და აქვს ყველა უფლება და იურიდიული დაცვის საშუალება, რომლებსაც უზრუნველყოფის მქონე კრედიტორს ანიჭებს იმ დროისთვის მოქმედი ნიუ-ჯერსის ერთიანი კომერციული კოდექსი, გარდა იმ უფლებებისა და იურიდიული დაცვის საშუალებებისა, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით ან შესაბამისი კანონმდებლობით სხვაგვარად. თქვენს საპენსიო ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებს (შემდგომში, ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშები) ან კვალიფიციურ დაგროვებით სქემებს, არ ექვემდებარება ამ ზოგად ყადაღას; თქვენს საპენსიო ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები შეიძლება გამოყენებული იქნეს DriveWealth-ის წინაშე მხოლოდ იმ დავალიანების ან სხვა ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც თქვენს საპენსიო ანგარიშს (ანგარიშებს) ეხება.

24. **შეკვეთების გაყიდვა, შესყიდვა და გაუქმება.** თქვენი გარდაცვალების შემთხვევაში ანდა როდესაც DriveWealth-ი, საკუთარი შეხედულებისამებრ, ჩათვლის თავის დასაცავად საჭიროდ ან შესაფერისად, DriveWealth-ი უფლებამოსილია თქვენთვის ან თქვენი პირადი წარმომადგენლისთვის შეტყობინების და თქვენთვის საგადასახადო ან სხვა შედეგების გათვალისწინების გარეშე, გაყიდოს თქვენს ანგარიშზე არსებული ნებისმიერი და ყველა ფასიანი ქაღალდი და სხვა აქტივი (შემდგომში, დაყიდვა) ან შეისყიდოს ფასიანი ქაღალდები, რადგან გამყიდველმა დროულად ვერ მიაწოდა ფასიანი ქაღალდები (შემდგომში, შესყიდვა), ანდა გააუქმოს ყველა დაუსრულებელი ტრანზაქცია, რათა გაქვითოს თქვენი ანგარიშის ნებისმიერი დავალიანება სხვა ანგარიშის მიმართ, რომელიც შეიძლება თქვენ გქონდეთ (ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთობლივად). ნებისმიერი ასეთი დაყიდვა ან შესყიდვა განხორციელდება მხოლოდ DriveWealth-ის შეხედულებისამებრ ნებისმიერ საფონდო ბირჟასა ან ბაზარზე, სადაც ასეთი ტრანზაქციები იწარმოება, ანდა საჯარო აუქციონზე ან კერძო სავაჭრო შეთანხმებით; და DriveWealth-ი შეიძლება იყოს მისი საკუთარი ანგარიშის შემსყიდველი. ასეთი დაყიდვები და შესყიდვები შეიძლება იყოს საჯარო ან კერძო და შეიძლება გაიმართოს შეტყობინების ან რეკლამის გარეშე და ისეთი ფორმით, როგორსაც DriveWealth-ი, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვრავს. ნაგულისხმევია, რომ წინასწარი მოთხოვნა, ან მიწვევა ასეთ ყიდვა-გაყიდვაზე, ანდა ასეთი ყიდვა-გაყიდვის დროისა და ადგილის წინასწარი შეტყობინება არ ჩაითვლება DriveWealth-ის უფლების უარყოფად, გაყიდოს ან შეისყიდოს მოთხოვნის ან შეტყობინების გარეშე, როგორც აქ არის განსაზღვრული. ნებისმიერ ასეთ ყიდვასა თუ გაყიდვაზე DriveWealth-ს აქვს უფლება შეისყიდოს ან გაყიდოს ქონება გამოსყიდვის უფლების გარეშე, ხოლო თქვენ ეთანხმებით, იყოთ პასუხისმგებელი თქვენს ანგარიშზე არსებულ ნებისმიერ დეფიციტზე. თუ ასეთი შესყიდვიდან ან გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ფარავს თქვენს დავალიანებას DriveWealth-ის წინაშე, თქვენს ანგარიშზე არსებული ნებისმიერი ის თანხა ან ფასიანი ქაღალდი და სხვა აქტივი, რომელიც

აღემატება თქვენს დავალიანებას DriveWealth-ის წინაშე, შენახული იქნება თქვენი ანგარიშისთვის.

25. **შეკვეთის შესრულება.** თქვენ ეთანხმებით, რომ შეკვეთის შესრულება, ამ შეკვეთის პირობების შესაბამისად, წარმოადგენს DriveWealth-ის დისკრეციას. DriveWealth-ს აქვე უფლება, უარყოს და წინასწარ განიხილოს თქვენი შეკვეთა ანდა განახორციელოს სხვა ქმედება (რამაც შესაძლოა გადაავადოს შეკვეთის შესრულება) რაიმე მიზეზით, მათ შორის ბაზარზე არსებული პირობების, სისტემაში შეფერხებების, წარმადობის შეზღუდვის, იმავე ფასიან ქაღალდში დაუსრულებელი საკუთარი ან სამომხმარებლო შეკვეთების, მარეგულირებელი შეზღუდვების და კონკრეტულ ფასიან ქაღალდებში ტრანზაქციებზე DriveWealth-ის მიერ დაწესებული შეზღუდვების მიზეზით. თქვენ შეგიძლიათ შეკვეთები შესასრულებლად წარადგინოთ რაოდენობრივ (აქცია) საფუძველზე ანდა ნომინალურ (დოლარზე დამყარებული) საფუძველზე. DriveWealth-ი მათ შეასრულებს თქვენი საინვესტიციო მითითებების შესაბამისად. გარკვეულ ვითარებებში თქვენ შესაძლოა ვერ მიიღოთ მოთხოვნილი სრული თანხა (აქცია/დოლარი) სხვადასხვა საბაზრო პირობის ან ფაქტორის გამო. გამოუყენებელი თანხები/აქციები დაბრუნდება თქვენს ანგარიშზე. ზოგ ფასიან ქაღალდს შესაძლოა ჰქონდეს შეკვეთის შეზღუდვები, როგორც ეს დადგენილია DriveWealth-ის დოკუმენტში „გამჟღავნება და უარყოფა“ ანდა განსაზღვრულია თქვენი წარმდგენი ბროკერის ან მრჩევლის მიერ.

26. **შეკვეთის შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნა.** თქვენ აცნობიერებთ, რომ შესაძლოა შეკვეთის განთავსების შემდეგ შეუძლებელი იყოს ვაჭრობის გაუქმება ან შეკვეთის პირობების შეზღუდვა და თანახმა ხართ, გამოიჩინოთ სიფრთხილე ყველა შეკვეთის განთავსებამდე. თქვენი ნებისმიერი მცდელობა, გააუქმოთ შეკვეთა უბრალოდ არის „გაუქმების თხოვნა“. თქვენს თხოვნას შეკვეთის შეცვლასა ან გაუქმებაზე DriveWealth-ი დაამუშავებს მხოლოდ მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში და DriveWealth-ი არ იქნება პასუხისმგებელი თქვენ წინაშე, თუ ვერ შეძლებს, შეცვალოს ან გააუქმოს თქვენი შეკვეთა. ვაჭრობის შეკვეთები, განსაკუთრებით, ექვემდებარება დაუყოვნებლივ შესრულებას და როგორც წესი, ვერ უქმდება ვაჭრობა რომ დაიწყება. ვაჭრობის შეკვეთების ცვლილება ან გაუქმება არ იქნება დაშვებული DriveWealth-ის პლატფორმის მეშვეობით. გარდა ამისა, DriveWealth-ი ვერ მოგცემთ გარანტიას, რომ დაკმაყოფილდება გაუქმების მოთხოვნები იმ შეკვეთებზე, რომლებიც ვაჭრობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრეა განთავსებული. თქვენ აცნობიერებთ, რომ DriveWealth-ის შესაძლებლობაზე, დაამუშაოს გაუქმების მოთხოვნები, ზეგავლენას ახდენს ბაზრის პირობები და ვაჭრობის მოცულობები, რომლებიც DriveWealth-ის კონტროლ მიღმაა. თუ თქვენ გსურთ, სცადოთ თქვენი სავაჭრო შეკვეთის გაუქმება ან შეცვლა, თქვენ თანახმა ხართ, დახმარებისთვის დაუკავშირდეთ DriveWealth-ის წარმომადგენელს ან თქვენი ბროკერის წარმომადგენელს. DriveWealth-ის პლატფორმით სავაჭრო შეკვეთის ჩანაცვლების ან შეცვლის მცდელობამ შესაძლოა გამოიწვიოს დუბლირებული შეკვეთების შესრულება, რაზეც პასუხისმგებლობა საბოლოოდ თქვენ გეკისრებათ. თუ შეკვეთა ვერ უქმდება ან ვერ იცვლება, თქვენ თანხმობას აცხადებთ, რომ თქვენ მიერ განთავსებული თავდაპირველი შეკვეთის შედეგები სავალდებულოა შესასრულებლად.

27. **მოქმედება.** DriveWealth-ი შესრულების მომსახურებას გაუწევს იმ ტრანზაქციებს, რომლებიც წარმატებით გადასცა თქვენმა წარმდგენმა ბროკერმა ან საინვესტიციო მრჩეველმა DriveWealth-ს. თქვენ აცნობიერებთ, რომ თქვენს ანგარიშზე ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციებთან დაკავშირებით, DriveWealth-ი მოქმედებს სააგენტოს სახელით თქვენი ტრანზაქციის სრული აქციის ყველა კომპონენტებისთვის და თავისი სახელით თქვენი ტრანზაქციის წილობრივი აქციის ყველა კომპონენტისთვის.

28. **ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამა.** DriveWealth-თან ანგარიშის შექმნით თქვენ აღიარებთ, რომ წაიკითხეთ და აცნობიერებთ ჩვენს „ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამის თაობაზე გამჟღავნების განცხადებას“. თქვენ აღიარებთ და აცნობიერებთ, რომ DriveWealth-ის „ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამა“ შეიძლება დროდადრო შეიცვალოს, ხოლო ასეთ პროგრამებში თქვენი მონაწილეობის შესაბამისობის პირობები ცვალებადი იყოს. DriveWealth-ი გამოგიგზავნით შეტყობინებას მანამ, სანამ მოხდება (1) „ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამის“ დებულებებსა და პირობებში ცვლილებების შეტანა, (2) „ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამით“ ხელმისაწვდომი პროდუქტის დებულებებსა და პირობებში ცვლილებების შეტანა, (3) „ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამით“ ხელმისაწვდომი პროდუქტების შეცვლა, დამატება ან გაუქმება, ანდა (4) „ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამის“ გზით მომხმარებლის ინვესტიციის ერთი პროდუქტიდან მეორე პროდუქტით შეცვლა.

29. **ქასთოდიანი (შემნახველი).** DriveWealth-ი ინახავს თქვენს ანგარიშზე არსებულ ფასიან ქაღალდებს და სხვა აქტივებს სადეპოზიტო სატრასტო კომპანიის ქასთოდიანებთან (Depository Trust Company Custodians) (შემდგომში, სსკ ქასთოდიანები). DriveWealth-ი სსკ ქასთოდიანებთან ინახავს ყველა პოზიციას ნომინალური პირის სახელით; DriveWealth-ი ინახავს თქვენს ანგარიშზე არსებულ ფონდებთან დაკავშირებულ ყველა ჩანაწერს.

30. **შენატანები ნაღდი ფულის ტრანზაქციებზე.** თუ მიიჩნევს, რომ საჭიროა ან შესაფერისია თავის დასაცავად, DriveWealth-ს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, მოგთხოვოთ თქვენ ნაღდი ფულის ან გირაოს შეტანა თქვენს ანგარიშზე, რათა უზრუნველყოს თქვენი მხრიდან თქვენი ღია საკონტრაქტო ვალდებულებების სათანადო შესრულება.

31. **არ მოქმედებს როგორც ფინანსური მრჩეველი ან ფიდუციარი.** თუ მკაფიოდ არ არის სხვაგვარად DriveWealth-ის მიერ შეთანხმებული, DriveWealth-ი არ მოქმედებს როგორც ფინანსური მრჩეველი ან ფიდუციარი თქვენს ანგარიშთან ან სხვა დაკავშირებულ ტრანზაქციასთან მიმართებით.

32. **შეზღუდვები.** თქვენ აცნობიერებთ, რომ DriveWealth-ს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ, აკრძალოს ან შეზღუდოს თქვენს ანგარიშზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა და/ან სხვა აქტივების მოძრაობა, როგორც ამას ჩათვლის საჭიროდ.

1. ვაჭრობა ან გადახდა: თქვენ ეთანხმებით DriveWealth-ის უფლებას, რომ დაადოს თქვენს ანგარიშს ვაჭრობის, გადახდის ან სხვა შეზღუდვები, მათ შორის, და არა მარტო, შემდეგ ვითარებებში: (i) სასამართლოს ბრძანების, საგადასახადო ყადაღის ან თანხის დაქვითვის შესაბამისად; (ii) სამთავრობო უწყების ან სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე; (iii) ნაღდი ფულის წინასწარ გადახდაზე შეზღუდვების, მათ შორის ფედერალური რეზერვის საბჭოს T რეგულაციის და კეთილსინდისიერების დარღვევის გამო; და (iv) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. თქვენ თანახმა ხართ, დაემორჩილოთ ასეთ შეზღუდვებს და არ წამოიწყოთ ვაჭრობა ან ტრანზაქციები, რომლებითაც შეზღუდვა დაირღვეოდა. თქვენ არ დააკისრებთ DriveWealth-ს პასუხისმგებლობას რაიმე სავაჭრო დანაკარგის, დაკარგული მოგების, საგადასახადო ვალდებულების ან სხვა ზარალის გამო, რომელიც გამომდინარეობს სავაჭრო ან გადახდის შეზღუდვებიდან, რომლებიც ადევს თქვენს ანგარიშს.
2. შეზღუდვები ანგარიშზე: თუ DriveWealth-ის თქვენს ანგარიშზე (ანგარიშებზე) შეზღუდვები ვრცელდება, ასეთ ანგარიშებთან დაკავშირებით DriveWealth-ის პლატფორმისა და სავაჭრო ფუნქციების თქვენს მიერ გამოყენებაც შეზღუდული იქნება. DriveWealth-ი იტოვებს უფლებას, მოითხოვოს ნაღდი ფულის ან საკუთარი კაპიტალის შენატანები, ასევე, განსაზღვროს ასეთი შენატანის ადეკვატურობა, შეზღუდვის მოხსნამდე და DriveWealth-ის პლატფორმის გამოყენების განახლებამდე. DriveWealth-ი არ არის პასუხისმგებელი თქვენი ანგარიშისთვის მომსახურების გაწევის, მათ შორის ფასიანი ქაღალდების შეკვეთის შესრულების შეფერხებაზე ან შეუსრულებლობაზე შეზღუდვის მოქმედების პერიოდში, თუ თქვენს ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხები ანდა თქვენ აგვიანებთ მოთხოვნილი ნაღდი ფულის ან საკუთარი კაპიტალის შეტანას ან არ შეგაქვთ ის.

33. საკომისიოები და **გადასახდელები.** თქვენ უფლებას აძლევთ DriveWealth-ს, თქვენი ანგარიშიდან გამოქვითოს თანხები საბროკერო საკომისიოს, ტრანზაქციების დამუშავების საფასურის და სხვა გადასახდელების დასაფარად, რომლებიც შეიძლება დროდადრო არსებობდეს და გადაურიცხოს ისინი, შესაბამისად, თქვენს წარმდგენ ბროკერს ან საინვესტიციო მრჩეველს. თქვენ ყოველთვის გეკისრებათ ვალდებულება, მოთხოვნისთანავე გადაიხადოთ ნებისმიერი სადებეტო ბალანსი ან სხვა ვალდებულებები, რომლებიც ნებისმიერ თქვენს ანგარიშზე გაქვთ. DriveWealth-ის მიერ თქვენი ანგარიშიდან თანხების არ გამოქვითვა იმ დროს, როდესაც ეს გადასახდელები დაგეკისრათ, არ აუქმებს DriveWealth-ის უფლებას, გამოქვითოს თქვენი ანგარიშიდან ეს გადასახდელები მოგვიანებით. თქვენ აცნობიერებთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში DriveWealth-ს აქვს უფლება, თქვენს ანგარიშს პირდაპირ დააკისროს მომსახურების გაწევის ან ტრანზაქციების დამუშავების საფასური და თქვენ თანახმა ხართ, გადაიხადოთ ასეთი საფასური იმ მომენტისთვის არსებული განაკვეთების მიხედვით. თქვენ ასევე აცნობიერებთ, რომ ასეთი საფასური შეიძლება დროდადრო შეიცვალოს თქვენთვის შეტყობინების გამოგზავნის გარეშე და თქვენ ეთანხმებით, რომ ის თქვენთვის სავალდებულო იქნება. თქვენ თანახმა ხართ, გადაიხადოთ ყველა შესაბამისი მომსახურების საფასური თქვენ

მიერ განხორციელებული ტრანზაქციებისთვის და თქვენს ანგარიშზე განხორციელებული ყველა ავტორიზებული ტრანზაქციისთვის, ასევე, გადაიხადოთ ყველა შესაბამისი ფედერალური, შტატის და ადგილობრივი გადასახადი.

23. **„გრძელი“ გაყიდვა; ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან სესხების ავტორიზაცია.** გრძელი გაყიდვის შეკვეთის განთავსებისას, თქვენ ეს შეკვეთა ასეთად უნდა განსაზღვროთ. გაყიდვის შეკვეთის „გრძელ“ შეკვეთად განსაზღვრა ნიშნავს თქვენს მიერ იმის გაცხადებას, რომ თქვენ (i) ფლობთ ფასიან ქაღალდს, რომლის გაყიდვის შეკვეთა განათავსეთ და (ii) თუ DriveWealth-ს არა აქვს ფასიანი ქაღალდი იმ დროს, როდესაც თქვენ გაყიდვის შეკვეთა განათავსეთ, თქვენ DriveWealth-ს მიაწოდებთ ამ ფასიან ქაღალდს მისაწოდებლად სათანადო ფორმით ანგარიშსწორების თარიღისთვის. თუ თქვენ არ მიაწოდებთ DriveWealth-ს ფასიან ქაღალდებს გრძელ გაყიდვასთან დაკავშირებით, თქვენ უფლებას აძლევთ DriveWealth-ს, თქვენი ანგარიშისთვის იყიდოს (შეისყიდოს) ყველა გაყიდული ფასიანი ქაღალდი და მათი ნაწილი. ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენ თანახმა ხართ, გადაუხადოთ DriveWealth-ს ნებისმიერი დანაკარგი ან ხარჯი, რომელიც შესაძლოა მას მიადგეს ან მან გასწიოს DriveWealth-ის მიერ თქვენი სახელით რომელიმე ასეთი ტრანზაქციის შეუსრულებლობისთვის და ნებისმიერი დანაკარგი, რომელიც DriveWealth-მა შეიძლება განიცადოს მისი უუნარობის გამო, შეიძინოს ან ისესხოს გაყიდული ფასიანი ქაღალდი.

35. **მარჟის (margin) ხელშეკრულება.** თუ თქვენ DriveWealth-თან შექმნით მარჟის ანგარიშს, თქვენ მოგეთხოვებათ, დაადასტუროთ, რომ მიიღეთ, გაეცანით და აღიარებთ DriveWealth-ის მარჟის ანგარიშის ხელშეკრულებას და შესაბამის „მარჟის ანგარიშის შესახებ გამჟღავნებებს“ თქვენს მარჟის ანგარიშზე განხორციელებულ ყველა ტრანზაქციაზე ვრცელდება წინამდებარე სამომხმარებლო ხელშეკრულების პირობები, მარჟის ხელშეკრულების პირობები და ნებისმიერი წერილობითი შეთანხმება თქვენსა და ჩვენს შორის, დროდადრო მათი შესაძლო შესწორებების ჩათვლით.

36. **საგადასახადო შედეგები და დაკავშირებული ინფორმაცია: არა აშშ-ის საგადასახადო ვალდებულებები.** თუ თქვენ არა ხართ შეერთებულ შტატებში ბაზირებული ორგანიზაცია ანდა სხვაგვარად ექვემდებარებით სხვა საგადასახადო ორგანოს იურისდიქციას, გარდა აშშ-ის საგადასახადო სამსახურისა, თქვენზე შეიძლება გავრცელდეს კანონები, წესები, რეგულაციები, დაქვითვის მოთხოვნები, საგადასახადო გადასახადები და სხვა ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება თქვენს ანგარიშს, მასზე განხორციელებულ ტრანზაქციებს და თანხებს, რასაც უხდით DriveWealth-ს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის (შემდგომში, უცხოეთის საგადასახადო წესები). თქვენ აღიარებთ, რომ მიუხედავად იმისა, რა წერია უცხოეთის საგადასახადო წესებში, თქვენ ვალდებული და პასუხისმგებელი ხართ მათთან შესაბამისობაზე და გაათავისუფლებთ DriveWealth-ს პასუხისმგებლობისა და გადახდის მოთხოვნისგან ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებასა თუ ჯარიმასთან მიმართებით, რომელიც თქვენ ან DriveWealth-ს დაეკისრა უცხოეთის საგადასახადო წესებთან დაკავშირებით.

37. **ჭარბი თანხების გადატანა; გაცვლის კურსის მერყეობა.** თქვენ უფლებამოსილებას ანიჭებთ DriveWealth-ს, თქვენი ანგარიშებიდან ჭარბი თანხები გადაიტანოს თქვენს რომელიმე სხვა ანგარიშზე ნებისმიერი მიზეზით, გარდა იმისა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს „სასაქონლო საფონდო ბირჟის შესახებ“.

38. **თქვენი ურთიერთობის შეწყვეტა თქვენს წარმდგენ ბროკერსა ან საინვესტიციო მრჩეველთან.** თქვენ ან თქვენს წარმდგენ ბროკერს თუ საინვესტიციო მრჩეველს აქვს უფლება, მიაწოდოს DriveWealth-ს შეტყობინება თქვენს წარმდგენ ბროკერსა ან საინვესტიციო მრჩეველთან თქვენი ანგარიშის დახურვის შესახებ. თქვენ აცნობიერებთ, რომ DriveWealth-ს უნდა მიაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, სად მოხდეს თქვენს ანგარიშზეა განთავსებული თანხების გადარიცხვა და/ან ფასიანი ქაღალდების გადატანა. თქვენ თანახმა ხართ, მიაწოდოთ DriveWealth-ს ასეთი მითითებები თქვენს წარმდგენ ბროკერსა ან საინვესტიციო მრჩეველთან თქვენი ანგარიშის დახურვის თარიღიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუ DriveWealth-ი არ მიიღებს ასეთ მითითებებს, თქვენ თანახმა ხართ, რომ DriveWealth-მა განსაზღვროს თქვენი ანგარიშის მიმდინარე თვიური შენახვის საფასური 20 ცენტის (0.20 აშშ დოლარი) ოდენობით, რომ გააგრძელოს თქვენი ანგარიშის მეურვეობა, და თქვენ ცალსახად აძლევთ DriveWealth-ს უფლებას, რომ ასეთი შენახვის საფასურის დასაფარად თანხა გამოქვითოს თქვენი ანგარიშიდან და/ან მოახდინოს თქვენს ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდების ლიკვიდირება.

39. **დავალიანების დაფარვა; შეწყვეტა.** თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ ეს ხელშეკრულება წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რომელსაც გაუგზავნით DriveWealth-სის ახალი ანგარიშების გუნდს შემდეგ მისამართზე: 97 Main St. 2nd Floor, Chatham, NJ, 07928. თქვენ თანახმა ხართ, მოთხოვნის შემთხვევაში, დაფაროთ ნებისმიერი დავალიანება, როდესაც თქვენი ანგარიში იხურება. თქვენი ანგარიში შესაძლოა არ დაიხუროს, თუ DriveWealth-მა არ მიიღო თანხა ყველა ფასიანი ქაღალდის და სხვა აქტივის სრულად გადაიხადოს, რომლებშიც თქვენ ანგარიშს აქვს გრძელი პოზიცია. DriveWealth-ს შეუძლია ნებისმიერ დროს, თქვენთვის შეტყობინებით თუ შეტყობინების გარეშე, შეწყვიტოს თქვენი ანგარიში ან მისი ნებისმიერი კომპონენტი ანდა შეცვალოს მათი ხასიათი, შემადგენლობა ან ხელმისაწვდომობა. ანგარიშის ან მისი რომელიმე კომპონენტის შეწყვეტა ამოქმედდება დაუყოვნებლივ ანდა მოგვიანებით, როგორც ამას DriveWealth-ი განსაზღვრავს, ოღონდ ამ ხელშეკრულების შესაბამისი ნაწილები დარჩება ძალაში ყველა იმ მომენტისთვის დაუსრულებელ ტრანზაქციასთან მიმართებით.

40. **ამოღების ხარჯები.** თუ DriveWealth-ი დაიქირავებს იურისტს ან ამომღებ სააგენტოს, რომ ამოიღოს ნებისმიერი დავალიანება, რომელიც თქვენ გაქვთ, თქვენ თანახმა ხართ, გადაიხადოთ ამოღების სათანადო ხარჯები, მათ შორის, და არა მარტო, იურისტის ჰონორარები, სასამართლოს მოსაკრებლები და ხარჯები, რომლებიც DriveWealth-მა გასწია მის წინაშე არსებული დავალინების ამოსაღებად.

41. **თქვენს ანგარიშზე ფასიანი ქაღალდებისთვის ხმის მიცემა მინდობილი პირების მიერ.** DriveWealth-ი იყენებს ვენდორ მესამე მხარეს - Say Communications LLC-ს, რომ გადასცეს ხმის მიცემის უფლებები წილობრივი აქციების მფლობელებს. DriveWealth-ს აქვს უფლება, შესაბამისი კანონის თანახმად, ხმა მისცეს მინდობილობით იმ ფასიანი ქაღალდების წილებზე, რომლებსაც DriveWealth-ი როგორც თქვენი მინდობილი პირი ფლობს, როდესაც DriveWealth-ს არა აქვს თქვენგან მითითებები დროულად მიღებული. თქვენ აღიარებთ, რომ DriveWealth-ი არ იქნება პასუხისმგებელი ან ვალდებული თუ არ მისცემს მინდობილობით ხმას ან თავს შეიკავებს მინდობილობით ხმის მიცემისგან, როდესაც DriveWealth-ს არა აქვს დროულად მიღებული მინდობილობები ან აქციონერის შესაბამისი მითითებები.

42. **უარყოფა, გადაცემა და მოდიფიკაცია.** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საგანგებოდ არის ამ ხელშეკრულებით ნებადართული, ამ ხელშეკრულების არც ერთი დებულება არ ჩაითვლება უარყოფილად, შეცვლილად, მოდიფიცირებულად ან შესწორებულად, თუ ეს არ არის წერილობითი ფორმით DriveWealth-თან შეთანხმებული. DriveWealth-ის მხრიდან მკაცრი შესაბამისობის მოუთხოვნელობა ამ ხელშეკრულებასთან ან ჩვენ მიერ ნებისმიერ სხვა ჩვეულ ქცევასთან, არ ჩაითვლება DriveWealth-ის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების უარყოფად. თქვენ არა გაქვთ უფლება, გადასცეთ წინამდებარე ხელშეკრულება მესამე მხარეს DriveWealth-ის წერილობითი თანხმობის გარეშე. ნებისმიერი გადაცემა, რომელიც ამ ხელშეკრულების დარღვევით მოხდება, ბათილი იქნება. DriveWealth-ს აქვს უფლება, შეტყობინების გარეშე გადასცეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი თავისი უფლება და ვალდებულება მასთან დაკავშირებულ პირებს ან სამართალმემკვიდრეს.

43. **ნიუ-ჯერსის კანონმდებლობა არის მარეგულირებელი კანონმდებლობა.** ეს ხელშეკრულება მიჩნეული უნდა იყოს, როგორც ნიუ-ჯერსის შტატში შედგენილი ხელშეკრულება და მისი ინტერპრეტაცია და მხარეთა უფლებების და ვალდებულებების განსაზღვრა უნდა მოხდეს ნიუ-ჯერსის შტატის კანონმდებლობის შესაბამისად, მისი კოლიზიური კანონების და დებულებებისთვის მოქმედების ძალის მინიჭების გარეშე.

44. **სავალდებულო მომხმარებლის საკუთრებისთვის.** თუ თქვენ ფიზიკური პირი ხართ, თქვენ თანახმა ხართ, რომ თქვენი საკუთრება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს DriveWealth-ს თქვენი გარდაცვალების შესახებ და თქვენი მეურვე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს DriveWealth-ს თქვენი უუნარობის შესახებ. თქვენ ეთანხმებით, რომ ეს ხელშეკრულება და მისი ყველა პირობა სავალდებულო იქნება თქვენი მემკვიდრეების, აღმასრულებლების, ადმინისტრატორების, მეურვეების, პირადი წარმომადგენლებისა და უფლებამოსილი უფლებამონაცვლეებისთვის.

45. **ავტონომიურობა, უფლებაზე უარის ართქმა.** თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება მიჩნეული იქნა ძალადაკარგულად, გაუქმებულად ან განუხორციელებლად რომელიმე კანონის, წესის, ადმინისტრაციული ბრძანების თუ სასამართლოს

გადაწყვეტილების თანახმად, ეს არ იმოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების დანარჩენი დებულებების ქმედითობაზე.

46. **მთლიანი შეთანხმება.** ეს ხელშეკრულება ნებისმიერ სხვა თქვენსა და DriveWealth-ს შორის დადებულ ხელშეკრულებასთან ერთად, მათში დროდადრო შეტანილი შესწორების და დამატების ჩათვლით, რომლებიც ეხება თქვენს ანგარიშს ან კონკრეტულ პროდუქტსა და სერვისს, ნებისმიერი პროცედურა, რომლებიც DriveWealth-მა დაადგინა ანგარიშის გამოყენებასთან დაკავშირებით და პირობები, რომლებსაც მოიცავს DriveWealth-ის ან მისი სახელით თქვენთვის გამოგზავნილი ამონაწერები და დადასტურებები, შეადგენს თქვენსა და DriveWealth-ს შორის მთლიან შეთანხმებას წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით.

47. **აქციონერების კომუნიკაცია.** SEC-ის 14ბ-1(გ) წესის თანახმად, DriveWealth-ი ვალდებულია, მოთხოვნისამებრ, გაუმჟღავნოს ემიტენტს ანგარიშის იმ მფლობელების სახელი, გვარი, მისამართი და ფასიანი ქაღალდის პოზიცია, რომლებიც ამ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარი მფლობელები არიან, თუ ანგარიშის მფლობელი საგანგებოდ არ ეწინააღმდეგება ასეთ გამჟღავნებას.

48. **ერთობლივი ანგარიში (ეს დებულება ეხება მხოლოდ ერთობლივ ანგარიშებს).**

1. თქვენ აღიარებთ, რომ თითოეულ თქვენგანს აქვს უფლება, ამ ანგარიშის სახელით იყიდოს, გაყიდოს ან სხვაგვარად განკარგოს ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები; მიიღოს დადასტურება, ამონაწერი და ნებისმიერი სახის სხვა კომუნიკაცია ანგარიშისთვის; მიიღოს და განკარგოს ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები; ანგარიშისთვის დადოს ხელშეკრულებები ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და შეწყვიტოს ან მოდიფიცირება გაუკეთოს მათ ანდა უარი თქვას მათ რომელიმე დებულებაზე; და ზოგადად, იურთიერთოს DriveWealth-თან ისე თითქოს მხოლოდ ნებისმიერი თქვენგანი იყოს ანგარიშის მფლობელი, და ყველაფერი ეს გააკეთოს ერთობლივი ანგარიშის სხვა მფლობელისთვის (მფლობელებისთვის) შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამ ანგარიშზე პასუხისმგებლობა გექნებათ თქვენ ერთობლივად და ცალ-ცალკე.
2. თქვენ აღიარებთ, რომ DriveWealth-ს აქვს უფლება, შეასრულოს ნებისმიერი თქვენგანის მითითებები ამ ანგარიშთან დაკავშირებით და ნებისმიერ თქვენგანს მოგაწოდოთ თქვენ ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები ნაწილობრივ ან სრულად, და ნებისმიერ თქვენგანს გადაუხადოს ამ ანგარიშზე არსებული ფული სრულად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი თქვენგანის შეკვეთის ან მითითების შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც ასეთი მიწოდება და გადახდა უნდა მოხდეს პირადად თქვენთვის და არა ანგარიშისთვის. DriveWealth-ს არ ექნება არანაირი ვალდებულება, გამოიკითხოს ფასიანი ქაღალდების და სხვა აქტივების მიწოდების ან გადახდის მოთხოვნის მიზანი და არ არის ვალდებული, დააკვირდეს

რომელიმე თქვენგანისთვის ასე მიწოდებული ფასიანი ქაღალდების ან გადახდილი ფულის გამოყენების ხასიათს.

3. რომელიმე თქვენგანის გარდაცვალების შემთხვევაში, ანგარიშის დარჩენილმა მფლობელმა (მფლობელებმა) დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით DriveWealth-ს ამის შესახებ და DriveWealth-ს აქვს უფლება, ასეთი შეტყობინების მიღებამდე ან მიღების შემდეგ, განახორციელოს ისეთი ქმედება, მოითხოვოს ისეთი დოკუმენტები, დაიტოვოს ისეთი წილი ან შეზღუდოს ტრანზაქციები ანგარიშზე, როგორსაც მიიჩნევს საჭიროდ ან შესაფერისად, რომ თავი დაიცვას ნებისმიერი გადასახადის, ვალდებულების, ჯარიმის ან დანაკარგისგან, რომლებიც არსებული ან მომავალი კანონმდებლობით ან სხვაგვარად არის გათვალისწინებული. თქვენს შორის ნებისმიერი გარდაცვლილის საკუთრებას, ხოლო თითოეულ დარჩენილ ცოცხალ წევრს, ერთობლივად და ცალ-ცალკე, ეკისრება ვალდებულება DriveWealth-ის წინაშე ამ ანგარიშზე არსებულ ნებისმიერ იმ ვალსა თუ დანაკარგზე, რომლებიც წარმოიქმნა იმ ტრანზაქციების შედეგად, რომელთა შესრულებაც დაიწყო მანამ, სანამ DriveWealth-ი მიიღებდა წერილობით შეტყობინებას ასეთი გარდაცვალების შესახებ ანდა წარმოიშვა ანგარიშის ლიკვიდაციის ანდა შესაბამისი მხარეების ინტერესების ცვლილებების შედეგად.
4. ნებისმიერი გადასახადი ან სხვა ხარჯი, რომლითაც დაყადაღდება ანგარიში ან გადასახდელი იქნება ანგარიშიდან რომელიმე თქვენგანის გარდაცვალების გამო, ანდა საკუთრების ან წარმომადგენლების მიერ ამ ანგარიშის რომელიმე უფლების გამოყენების შედეგად, გადასახდელი იქნება დარჩენილი ცოცხალი წევრის (წევრების) პროცენტიდან ანდა გარდაცვლილის საკუთრების პროცენტიდან. ეს დებულება არ ათავისუფლებს გარდაცვლილის საკუთრებას წინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე ვალდებულებისგან.
5. ქონების ერთობლივი საკუთრების მარეგულირებელი კანონები განსხვავდება.

49. **გაკოტრება ან ქონების დაყადაღება.** თქვენ აღიარებთ, რომ დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინებთ DriveWealth-ს თქვენი გაკოტრების ან გადახდისუუნარობის შესახებ, ხოლო თუ ფიზიკური პირი არა ხართ, თქვენი რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, შეწყვეტის ან მსგავსი ვითარების შესახებ, რომელიც გეხებათ თქვენ ან თქვენს მშობელ კომპანიას. თუ თქვენი ანგარიში ორი ან მეტი მფლობელის ერთობლივი ანგარიშია, ანგარიშის მფლობელად მითითებული თითოეული პირი, რომელიც ხელს აწერს ამ ხელშეკრულებას (შემდგომში, თითოეული მოიხსენება როგორც „ერთობლივი მფლობელი“), თანახმაა, გაუგზავნოს DriveWealth-ს წერილობით შეატყობინოთ ნებისმიერი სხვა ერთობლივი მფლობელის გაკოტრების, გადახდისუუნარობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან მსგავსი ვითარების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ: (ა) DriveWealth-ს ეცნობა დაცვისთვის იძულებითი განაცხადის შესახებ მოქმედი გაკოტრების კანონების შესაბამისად ანდა თქვენი ან თქვენი კომპანიის მიმღების დანიშვნის შესახებ ან სხვაგვარად იქნა ინფორმირებული თქვენი ან თქვენი კომპანიის გაკოტრების, გადახდისუუნარობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან მსგავსი ვითარების შესახებ, ანდა (ბ) DriveWealth-ს წარედგინა რაიმე ყადაღა, საგადასახადო ვალდებულება, გადასახადი ან მსგავსი პროცესი თქვენ და თქვენს ანგარიშთან მიმართებით,

DriveWealth-ს აქვს უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, დაუყოვნებლივ მიიღოს ნებისმიერი ზომა, რომელსაც DriveWealth-ი აუცილებლად ან შესაფერისად მიიჩნევს საკუთარი თავის დასაცავად, მათ შორის, და არა მარტო, გაყიდოს ნებისმიერი პოზიცია თქვენ ანგარიშში, რათა დაფაროს ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც თქვენ DriveWealth-ის წინაშე გაქვთ, თქვენთვის ასეთი ქმედების საგადასახადო ან სხვა შედეგების გათვალისწინების გარეშე, თქვენთვის შეტყობინების გამოგზავნით ან გამოუგზავნელად, და პასუხისმგებლობის გარეშე.

50. **შეზღუდული პასუხისმგებლობა.** DriveWealth-ს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ფასიანი ქაღალდების და სხვა აქტივების შეტანაზე, განხორციელებაზე, წარმართვაზე, გაყიდვასა ან ყიდვაზე ანდა თქვენ ანგარიშებთან დაკავშირებით ნებისმიერ სხვა ქმედებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ჩაიდენს უხეშ დაუდევრობას ან განზრახ უკანონო ქმედებას. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში DriveWealth-ის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ფაქტობრივი ზარალის მოცულობით, რომელიც სათანადოდ არის დადასტურებული, და უშუალოდ გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ ისეთი უხეში დაუდევრობის ან განზრახ უკანონო ქმედებიდან, რომელიც განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო მხარეებისთვის ამ ხელშეკრულების დადების თარიღისთვის. ზემოაღნიშნულის ზოგადი ხასიათის შეუზღუდავად, DriveWealth-ს არ არის პასუხისმგებელი რაიმე ირიბ, საგანგებო, შემთხვევით ან თანმდევ ზარალსა ან სხვა დანაკარგზე (მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ასეთი ზარალი ან დანაკარგი განჭვრეტადი).

51. **პასუხისმგებლობისგან და ზარალის ანაზღაურებისგან გათავისუფლება.** DriveWealth-ი არ იქნება პასუხისმგებელი და თქვენ თანახმა ხართ, აანაზღაუროთ და დაიცვათ DriveWealth-ი და მისი ყოველი დირექტორი, ოფიცერი ან თანამშრომელი და ნებისმიერი პირი რომელსაც აკონტროლებს ან კონტროლდება DriveWealth-ის მიერ, ისეთი დანაკარგების ანაზღაურების პასუხისმგებლობისგან, რომლებიც წარმოიშვება (ა) თქვენი ან თქვენი აგენტის მხრიდან შეცდომაში შეყვანის, ქმედების თუ უმოქმედობის ან სავარაუდო შეცდომაში შეყვანის, ქმედების თუ უმოქმედობის შედეგად, (ბ) DriveWealth-ის მიერ თქვენი ან თქვენი აგენტის მითითებების შესრულების ანდა თქვენი ან მათი უკანონო ან არაგონივრული მითითებების შეუსრულებლობის შედეგად, (გ) ნებისმიერი თქვენი ქმედების ან თქვენი წინა მრჩევლების ან ქასთოდიანის ქმედებების შედეგად, და (დ) DriveWealth-ის მიერ არაკონტროლირებადი ნებისმიერი პირის მიერ თქვენს წინაშე რაიმე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად.

52. **დაუძლეველი ძალის მოვლენები.** DriveWealth-ი არ იქნება პასუხისმგებელი იმ დანაკარგებზე, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად წარმოიშვება ხელისუფლების შეზღუდვების, საფონდო ბირჟის ან ბაზრის წესების, ვაჭრობის შეჩერების, ომის, ტერორისტული აქტების, გაფიცვების, ფოსტის ან სხვა საკომუნიკაციო სისტემის უფუნქციობის, მექანიკური ან ელექტრონული გაუმართაობის, მესამე მხარეების მიერ მითითებების შეუსრულებლობის, „სტიქიური მოვლენების“ სახელით ცნობილი მიზეზების ანდა რაიმე ისეთი სხვა მიზეზის შედეგად, რომელიც DriveWealth-ის კონტროლს მიღმაა, დამოუკიდებლად იმისა, განჭვრეტადი იყო თუ არა ასეთი მიზეზი. DriveWealth-ი არ იქნება პასუხისმგებელი დანაკარგებზე, რაც გამოწვეულია ბაზრის იმ ზოგადი პირობებით, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ამ ხელშეკრულების დარღვევას DriveWealth-ის მიერ.

53. **სათაურები.** ამ ხელშეკრულების თითოეული დებულების სათაური მოცემულია მხოლოდ განმარტებითი მიზნებისთვის და არ ითვლება თითოეულ ამ დებულებაში განსაზღვრული უფლებებისა თუ ვალდებულებების მოდიფიკაციად ან კვალიფიკაციად.

54. **ეგზემპლარები.** წინამდებარე ხელშეკრულება თქვენ შეიძლება შეადგინოთ ნებისმიერი რაოდენობის ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ჩაითვლება ორიგინალად და ყველა ერთად აღებული იქნება ერთი და იგივე ინსტრუმენტი.

55. **ინფორმაციის გამჟღავნება.** თქვენ აღიარებთ, რომ მიიღეთ, გაეცანით და გაიაზრეთ DriveWealth-ის მიერ იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც თქვენს ანგარიშს უკავშირდება.

56. **არბიტრაჟი.** წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს საარბიტრაჟო დებულებას მომავალი დავების არბიტრაჟით გადაწყვეტასთან დაკავშირებით. არბიტრაჟის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან შემდეგზე: (ა) ამ ხელშეკრულების ყველა მხარე უარს ამბობს უფლებაზე, ერთმანეთს უჩივლონ სასამართლოში, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის უფლებაზე, გარდა იმ წესებისა რასაც ითვალისწინებს საარბიტრაჟო ფორუმი, სადაც საჩივარია შეტანილი; (ბ) არბიტრაჟის გადაწყვეტილება, როგორც წესი, საბოლოო და სავალდებულოა შესასრულებლად; მხარის შესაძლებლობა, სასამართლომ გააბათილოს ან მოდიფიცირება გაუკეთოს არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ძალიან შეზღუდულია; (გ) მხარეების შესაძლებლობა, მოიპოვონ დოკუმენტები, მოწმეთა ჩვენებები და სხვა მონაცემები, ზოგადად, უფრო შეზღუდულია საარბიტრაჟო, ვიდრე სასამართლო სამართალწარმოებაში; (დ) არბიტრებს არ მოეთხოვებათ, განმარტონ მათი გადაწყვეტილების მიზეზი (მიზეზები), თუ, დასაშვებ შემთხვევებში, პირველი მოსმენის თარიღამდე 20 დღით ადრე, ყველა მხარე არ წარუდგენს კოლეგიას ერთობლივ მოთხოვნას გადაწყვეტილების განმარტების მოწოდებაზე; (ე) არბიტრთა კოლეგიაში, ჩვეულებრივ, შეყვანილი იქნება არბიტრთა უმცირესობა, რომლებიც იყვნენ ან არიან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიასთან; (ვ) ზოგი არბიტრაჟის ფორუმის წესებით შეიძლება დაწესებული იყოს ვადები არბიტრაჟში საჩივრის წარსადგენად. ზოგ შემთხვევაში, საჩივარი, რომელიც არ არის შესაფერისი არბიტრაჟისთვის, შეიძლება შეტანილი იქნეს სასამართლოში; (ზ) იმ საარბიტრაჟო ფორუმის წესები, სადაც სარჩელია შეტანილი, და ამ წესების ნებისმიერი შესწორება შეტანილი უნდა იქნეს ამ ხელშეკრულებაში; და (თ) არც ერთი პირი არ შეიტანს არბიტრაჟში სავარაუდო ან დადასტურებულ კოლექტიურ სარჩელს; ასევე, არ შეეცდება, აღასრულოს საარბიტრაჟო ხელშეკრულება მომავალი დავების არბიტრაჟით გადაწყვეტასთან დაკავშირებით ისეთი ადამიანის წინააღმდეგ, რომელმაც სასამართლოში შეიტანა სავარაუდო კოლექტიური სარჩელი; ანდა არის სავარაუდო კოლექტივის წევრი, რომელიც არ გამოეთიშა კოლექტივს სავარაუდო კოლექტიურ სარჩელში შეტანილ არც ერთ პრეტენზიასთან მიმართებით მანამ, სანამ: (1) სარჩელის კოლექტიურ სარჩელად აღიარება უარყოფილი იქნა; (2) მოხდა სარჩელის კოლექტიურ სარჩელად აღიარების გაუქმება; ანდა (3) კლიენტი გარიცხული იქნა კოლექტივიდან სასამართლოს მიერ. ასეთი უარი არბიტრაჟის ხელშეკრულების აღსრულებაზე არ ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე

უფლების უარყოფად, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აქ არის განსაზღვრული. წინა განცხადებების გათვალისწინებით, თქვენ ეთანხმებით, რომ ყველა და ნებისმიერი წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას თქვენსა და DriveWealth-ს და მასთან დაკავშირებულ პირებს შორის თქვენ ანგარიშთან, რაიმე ტრანზაქციას ან წინამდებარე ხელშეკრულებასა თუ რომელიმე სხვა ხელშეკრულების ინტერპრეტირებასთან, შესრულებასა ან დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც DriveWealth-სა და თქვენს შორის არის დადებული ამ ხელშეკრულების თარიღამდე, თარიღზე ან მას შემდეგ, განხილული იქნება არბიტრაჟის მიერ. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი დავა გადაწყდება FINRA Dispute Resolution, Inc.-ის წინაშე FINRA-ს საარბიტრაჟო კოდექსის დებულებების შესაბამისად, ანდა საფონდო ბირჟის წინაშე, რომლის წევრიცაა DriveWealth-ს, იმ კონკრეტული მარეგულირებელი სააგენტოს იმ დროს მოქმედი წესების შესაბამისად. არბიტრაჟის დაწყება უნდა მოხდეს მეორე მხარისთვის არბიტრაჟის შესახებ წერილობითი მოთხოვნის ანდა არბიტრაჟის განზრახვის შეტყობინების გადაცემით. მოსაზრება, არბიტრის მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, შეიძლება შეტანილი იქნეს ნებისმიერ სასამართლოში, რომელსაც აქვს შესაბამისი იურისდიქცია.